პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 სექტემბერი პარასკევი 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 220 (15130)

ქართული მეცნიერება

ყოველი დონისძიებით განვამტკიცოთ ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევა და უფრო სწრაფად დავნერგოთ მისი შედეგები სახალხო მეურნეობაში.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებიდან.

ქართველ ერს თავისი დიდებული სახელი, ათას ჭარცეცხლში რომ გამოატარა, ჩვენს ეპოქამდე მხოლოდ ხვნა-თესვით, მხოლოდ ლაშქრობებით, შრომაში დაკოსტებული ხელებით და ბრძოლაში ნალესი ხმლებით როდი მოუტანია. ყოველივე ზემოთქმულს თან ნათელი გონება, სალი აზროვნება, შინაგანი კულტურა და სიბრძნე რომ არ ხლეობდა, შეუძლებელი იყო ერის სახელს ჩვენამდე ასეთი დიდების შარავანდედით მოსილს მოეღწია. ერის კულტურის ორი დიდი დედაბოძი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია — ისტორიის მიერ დაწნული დაფნის გვირგვინით შემკობილი, ოლიმპზე რომ წამომართულა, ნაკვეთია შორეული წარსულითაც, წინაპართა გენითაც. მათი ფესვები ღრმად და შორს არის გადგმული ერის სულიერ წიაღში. მათს დიდებაში, მსოფლიოს რომ განსჯვდენია, მოისმის შეა საუკუნეთა ქართული სამეცნიერო და სასწავლო ცენტრების შორეული გამოძახილიც, რადგან თბილისის უნივერსიტეტის დაარსება, რასაც ორ ათეულ წელზე მეტი ხნის შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის დაარსება მოჰყვა, — იყო გამთელება ბედის უკუღმართობით საუკუნეების მანძილზე გაწყვეტილი ძაფისა, ერის წარსულ მეცნიერულ და კულტურულ დიდებასთან რომ უნდა დაეკავშირებინა. ეს იყო სულიერი ხიდი, გადებული ჩვენსა და XI-XII საუკუნეებს შორის, დედა თბილისსა და იყალთო-გელათს შორის. უფრო მეტიც — საქართველოს უმაღლესი სკოლის ისტორია მიგვანიშნებს ჯერ კიდევ მეთოხე საუკუნეზე, როცა საქართველოს ჰქონია უმაღლესი სკოლა, რომელიც იმდროინდელი კულტურული სამყაროსათვის ცნობილი იყო ალლეთის აკადემიის სახელწოდებით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მზემ, საქართველოშიც რომ შემოანათა, ყველა წინაპირობა შექმნა განათლების, კერძოდ, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების გაფურჩქვნა-აყვავებისათვის. საამაყოა თუნდაც იმის შეგნება, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების დონით დიდი ხანია ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს არა მარტო მომე რესპუბლიკებს შორის, არამედ მთელ მსოფლიოშიც. ცხადია, შესაბამისად ჰყვავის ჩვენი საბჭოთა მეცნიერება.

დღევანდელი დღე განსაკუთრებით სახიამოვნოა ქართველი კაცისათვის — მუშა იქნება იგი თუ კოლმეურნე, სტუდენტი თუ მეცნიერი... დღეს მადლიერი ხალხი 80 წლის იუბილეს უხდის თავის ღირსეულ, ამაგდარ შვილს, საუკუნის მეცნიერების ერთ-ერთ ჭურეულს აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილს. ამ საიუბილეო დღეს, როგორც სარკეში, ნათლად ჩანს ქართული ეროვნული მეცნიერების ტრადიციული სახელოვანი გზა, მისი გმირული შემართება.

საამაყოა იმის შეგნება, რომ ამ დიდი იუბილარის სახელი არც დასაბამს უდებს ქართულ მეცნიერებას და არც დასასრულს აძლევს მას. გვყავს უხუცესნიც, მეტნაკლებად თანატოლნი დღევანდელი იუბილარისა, დიდებით მოსილი სახელები, ერის სიყვარული რომ აქვთ დამსახურებული ჩვენი კულტურის მოამაგეობისათვის. ესენი ძველი კომორტის ის მეცნიერნი და მოღვაწენი არიან, თავის დროზე, ჩვენს იუბილართან ერთად, დიდ ქართველს ივანე ჯავახიშვილს რომ ედგნენ მხარში საუნივერსიტეტო საქმეთა მძიმე, მაგრამ საპატიო უღლის გაწევაში; ერს ჰყავს მომდევნო თაობის, თუ უფრო ახალგაზრდა, გვარდია გამოჩენილი მეცნიერებისა... ბევრი მათგანი ღირსეული მოწაფე და მემკვიდრეა სახელოვანი იუბილარისა.

ქართული მეცნიერება, რომელსაც დიდებული შორეული წარსული და უფრო საამაყო აწმყო აქვს, წარმოადგენს მთელი საბჭოთა ქვეყნის მეცნიერული აზრის ერთ-ერთ მოწინავე შტაბს. ქართველი მეცნიერები თვალსაჩინო რაზმია საბჭოთა კავშირის მეცნიერთა მრავალათასიანი არმიისა.

საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე რომ ვითარდება წარმოების დღევანდელი დონის დამახასიათებელი ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, ეს თვალნათლივ ჩანს თვით ჩვენი რესპუბლიკის მაგალითზეც. სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა გადაწყვეტაში თვალსაჩინოა ქართველ მეცნიერთა წვლილი.

თეორიული და გამოყენებითი თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ძირითადად ქართველი მათემატიკოსების მიერ დამუშავებული ერთგანზომილებიანი სინგულარული ინტეგრალური განტოლებების თეორია, რომელიც ჩვენს იუბილარს და მის სკოლას ეკუთვნის და რომელმაც ფართო გამოყენება ჰპოვა მათემატიკური ფიზიკისა და ტექნიკის სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტისას; გამოთვლითი მათემატიკის დარგში ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის მთელი რიგი ამოცანებისათვის შედგენილია ალგორითმები და სხვადასხვა ტიპის ციფრული მანქანებისათვის დამუშავებულია სათანადო სტანდარტული პროგრამები ავტომატიზაციისა და გამოთვლითი მანქანების მათემატიკური უზრუნველყოფის დარგში.

ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ცნობილი გახდა შედეგები, მიღებული თანამედროვე ფიზიკის მრავალი მიმართულებით: ქართველ ასტრონომთა მრავალწლიანი მუშაობისა ირმის ნახტომის ქიმპლექსურ შესწავლასთან დაკავშირებით, პროფესიონალი ასტრონომიული გამოცდილების გამოყენებაში ახალ ტექნიკასთან შერწყმით პლანეტათშორისი ავტომატური სადგურების კოორდინატების ზუსტი განსაზღვრისათვის. თვალსაჩინოა ქართველ მეცნიერთა მუშაობის შედეგები გეოფიზიკის, გეოლოგიისა და გეოგრაფიის დარგებში, სეტყვის საწინააღმდეგო საშუალებათა მიკვლევაში, ამ პროცესებზე ზემოქმედების პრინციპების ჩამოყალიბებაში.

ქართველმა მეცნიერებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს კიბერნეტიკისა და მართვის სისტემების, სამთო მექანიკისა და მანქანათა მექანიკის, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის დარგებში. მეცნიერების ყველა ძირითად მიმართულებაში თვალსაჩინო იყო მეცნიერული კვლევის შედეგები გასულ ხუთწლედში. სწორედ ეს განაპირობებს იმ ახალ ფართო პერსპექტივებსა და ჰორიზონტს, რაც ქართველ მეცნიერთა წინაშე ისახება ახალი, მეცხრე ხუთწლედის დირექტივებით. აღსანიშნავია, რომ ქართველი მეცნიერები, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები, მეცნიერებათა შტაბები — აკადემია, რომელსაც დაარსებიდან დღემდე უცვლელად სათავეში უდგას აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი, უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებენ დირექტივებით დასმულ ამოცანათა გადაწყვეტაში. ეს ბუნებრივიც არის. დირექტივები, მიღებული ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის მიერ, სამოქმედო პროგრამაა მთელი ჩვენი მუშაობისა მეცხრე ხუთწლედის მანძილზე. გაფართოვდება კვლევა თეორიული და გამოყენებითი მათემატიკის, კიბერნეტიკისა და ავტომატური მართვის პრობლემებზე, თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკის ისეთ დარგებში, როგორიც არის ბირთვული ფიზიკა, მყარი სხეულის ფიზიკა, დაბალი ტემპერატურების ფიზიკა და სხვ.

ქართული მეცნიერება ახალ-ახალ შემოქმედებით ზღუდეებს იღებს, მისი სახელი სულ უფრო და უფრო ზორს ითქმება სახელს მეცნიერების ყველა ძირითად მიმართულებებს. ესაა ამ ერის ბედი, ესაა ამ ერის ბედნიერება!

ᲓᲘᲓᲘ ᲔᲥᲡᲬᲘᲔᲠᲘ

ქართველი ხალხი დღეს სიყვარულით და მადლიერების გრძნობით აღნიშნავს დიდი მეცნიერის, სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი პრეზიდენტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრის, ხუთი ლენინის ორდენის, ოქტომბრის რევოლუციის ორდენის, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერის, ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, სსრ კავშირის ყველა მოწოვეის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, აკადემიკოს ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილის დაბადების 80 წლისთავს. (ამასთან დაკავშირებით მასალები ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მე-3 გვერდზე).

ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲘᲡ — აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის ეს სურათი მის სამუშაო ოთახში გადაიღო გუშინ ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ს. ᲞᲘᲚᲐᲫᲔᲛ.

გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში

ბელგრადი, 23 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. ი. ბროზ ტიტომ ვახშამი გამართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის პატივსაცემად.

ვახშამზე იყვნენ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის აღმასრულებელი ბიუროს წევრები, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის წევრები, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრები და სხვა იუგოსლავი ამხანაგები.

ვახშამზე იყვნენ ოფიციალური საბჭოთა პირები, რომლებიც მონაწილეობენ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკებაში.

ვახშმის დროს ი. ბროზ ტიტომ და ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვები წარმოთქვეს.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ი. ᲑᲠᲝᲖ ᲢᲘᲢᲝᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

პატივცემულო ამხანაგო ბრეჟნევ!

ძვირფასო სტუმრებო!

ამხანაგებო!

განსაკუთრებული კმაყოფილებით ვსარგებლობ შესაძლებლობით, რათა იუგოსლავიის ხალხების, კომუნისტთა კავშირის სახელით, ჩემი თანამებრძოლებისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად მივესალმო ამხანაგ ლეონიდ ილიასძე ბრეჟნევს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, და მის თანამებრძოლებს და ვუსურვო მათ ყოველივე საუკეთესო ჩვენს ქვეყანაში. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ძვირფასო სტუმრებო, რომ ჩვენთან ყოფნის დროს ფილეგან შეგხვდებათ გულთბილობა, გულითადობა და იმ მეგობრული გრძნობების გამოხატულება, რომლებითაც იუგოსლავიის ხალხები არიან გამსჭვალულნი საბჭოთა კავშირისადმი.

თქვენი ვიზიტი იუგოსლავიაში სწორედ იმ დროს მიმდინარეობს, როცა ჩვენი ხალხები ზეიმობენ თავიანთი რევოლუციისა და ფაშისტ დამპყრობთა და მოღალატეთა წინააღმდეგ ბრძოლის 30 წლისთავს. ამ იუბილეს რომ ადვნიშნავთ, ჩვენ დიდი პატივისცემით ვიგონებთ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გმირ ხალხთა დიდ მსხვეპლს, რომელიც მათ გაიღეს მეორე მსოფლიო ომის დროს. ფაშიზმის შაგბნელი ძალების წინააღმდეგ ეს ერთობლივი ბრძოლა, რომელშიც სსრ კავშირის ხალხებმა ყველაზე მძიმე ტვირთი ზიდეს, ღრმად ჩარჩა ყოველი ჩვენი ადამიანის გულში და იუგოსლავიის ხალხთა მეხსიერებაში. ჩვენ ეს დღესაც მიგვაჩნია ჩვენი ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის მტკიცე საწინდრად.

იმ გმირული ბრძოლის დროიდან მრავალი წელი გავიდა. ამ წლებში ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობაში იყო მნიშვნელოვანი აღმავლობა და წარმატებებიც და იყო სინანულებიც. ამჟამად ჩვენ კმაყოფილებთ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ მიღწეულია დიდმნიშვნელოვანი შედეგები ჩვენი თანამშრომლობის თითქმის ყველა დარგში. მაგრამ მიმაჩნია, რომ მიღწეული დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება ორივე მხარის ნამდვილ ინტერესებს, მოთხოვნილებებსა და სურვილებს, ვინაიდან არსებობს ფართო შესაძლებლობანი ჩვენი ორი ქვეყნის ეკონომიკის კავშირურთიერთობის კიდევ უფრო ინტენსიური განმტკიცებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის, მეცნიერული და კულტურული მიღწევების გაცვლის განვითარებისათვის, ტურიზმის განვითარებისათვის, ჩვენი ხალხების ცხოვრების, წარმატებებისა და მისწრაფებების ამსახველი ინფორმაციის უკეთ ურთიერთგაცნობიერებისათვის და სხვ. ვსარგებლობ ამ შესაძლებლობით და მინდა გავიმეორო, რომ იუგოსლავიის ხალხებსა და მთავრობას გულწრფელად სურთ მეგობრული, ყოველმხრივი და მტკიცე სტაბილური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. დარწმუნებული ვართ, რომ ამისათვის ყველა პირობა არსებობს. დადასტურდა, ამასთან არაერთხელ, რომ ჩვენს კეთილ ურთიერთობას საგრეგლობა მოაქვს არა მარტო ჩვენი ორი ქვეყნისათვის, არამედ მთელი საერთაშორისო თანასაზოგადოებისათვის. პირველითაც ყოფილა, როცა ჩვენს ურთიერთობაში თავს იჩენდა ხოლმე გაუგებრობანი და სიძნელეები.

ჩვენ ჯერ კიდევ ადრე მივაღწიეთ შეთანხმებას იმ საფუძვლის შესახებ, რომელზეც წარმატებით შეიძლება განვითარდეს ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობა. იგი უწინარეს ყოვლისა გულისხმობს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და საშინაო საქმეებში ჩაუერევლობის ურთიერთპატივისცემას. სწორედ ეს არის ის პრინციპები, რომლებიც მიიღო საერთაშორისო თანასაზოგადოებამ და რომელთაც შეიცავს გაერთიანებული ერების წესდება. ამ პრინციპებით ღრმად გამსჭვალულია იუგოსლავიის, როგორც დამოუკიდებელი და მიუმხრობელი სოციალისტური ქვეყნის, არსი.

ვფიქრობ, გამოვხატავ თქვენს აზრსაც, ამხანაგო ბრეჟნევ. როცა ვამბობ, რომ ჩვენი ურთიერთობა და თანამშრომლობა შეიძლება კიდევ უფრო გაფართოვდეს და განმტკიცდეს ამ საფუძველზე. ამას, რასაკვირველია, მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობენ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი მთავრობების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონტაქტები და აზრთა ურთიერთგაზიარება და სკკპ. დარწმუნებული ვარ, რომ ერთობლივი მეცადინეობისას, რომელიც მიზნად ისახავს, რომ სწორედ ამგვარად ავაგოთ და კვლავაც განვავითაროთ ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობა, ახლანდელი ჩვენი შეხვედრა და მოლაპარაკება ახალი დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

ძვირფასო ამხანაგებო!

ამჟამად მსოფლიოში არსებობს ბევრი საშიში კერა, რომლებიც, სამწუხაროდ, არ ქრება, და, რაც უარესია, ჩნდება ახალი კერები. ჩვენ მოწმენი ვართ აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობაში მომხდარი დიდი ცვლილებების და მღელვარებისა, რომლებიც კიდევ უფრო რელიეფურად გამოსახავენ მონოპოლისტური პოზიციების, ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის მოძველებული ფორმების უსაფუძვლობას, მსოფლიოს განვითარებული და განუვითარებელი ნაწილების შეჯახებათა შეუფასებლობას, და შეიცავენ მეტი წილი ქვეყნების შუშათა კლასის მდგომარეობის სერიოზული გაუარესების საფრთხეს. ერთი სიტყვით, მსოფლიოს წინაშე ბევრი რამ უცნობია.

თუ რა მიმართულებით განვითარდება შემდგომში საერთაშორისო ურთიერთობა, ეს დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა, მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ძალების საქმიანობაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით სოციალისტურ ქვეყნებს, რომლებიც თავიანთი პრაქტიკით უჩვენებენ მაგალითს დემოკრატიული და თანასწორუფლებიანი ურთიერთობისათვის, მშვიდობისათვის, აქტიური და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების თანმიმდევრულად გამოყენებისათვის ბრძოლაში. მაშასადამე — ისეთი საერთაშორისო ურთიერთობისათვის, რომელიც გამორიცხავს ძალის გამოყენებას, ზეგავლენასა და ჩარევას საშინაო საქმეებში და უზრუნველყოფს ხალხებისა და ქვეყნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას, მათს თანასწორუფლებიან მონაწილეობას ფართო საერთაშორისო თანასაზოგადოების საქმიანობაში. ეს არის აგრეთვე საერთაშორისო თვალსაზრისით მიუმხრობელი ქვეყნების პოლიტიკისა და საქმიანობის არსი და ჩვენი ქვეყნის საგარეოპოლიტიკური საქმიანობის მტკიცე საფუძველი. მიუმხრობლობის პოლიტიკა შეესაბამება ჩვენი ხალხების საარსებო ინტერესებს, მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვას, და ამტკიცებს იგი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციური პრინციპია.

ახლანდელ რთულ საერთაშორისო პირობებში მოლაპარაკება და სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრა უნდა გახდეს საერთო პრაქტიკა საერთაშორისო თანასაზოგადოებაში. უამისოდ ვერ იქნება ვერც მტკიცე მშვიდობა, ვერც წარმატებითი თანამშრომლობა. იმედს გვინერგავს ის, რომ ამ მიმართულებით არსებობს დადებითი ტენდენციები და რომ უკვე მიღწეულია გარკვეული შედეგები, რასაც მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს საბჭოთა კავშირი. ამასთან მუდამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ფაქტიც — ამას ადასტურებს მთელი ომისშემდგომი გამოცდილებაც, — რომ საერთაშორისო თანამშრომლობა ვერ განვითარდება ვერც რაიმე მონოპოლიის პირობებში, ვერც ცალკეული ქვეყნებისა და ხალხების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების უარყოფის პირობებში. მსოფლიო საზოგადოებრიობის საქმეებში უნდა მონაწილეობდეს ყველა ქვეყანა მათი ძალისა და სიდიდის მიუხედავად, რადგან ეს არის მათი ხელშეუვალი უფლება და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების პირობა. რა თქმა უნდა, ამასთან თვალსაჩინო როლს ასრულებენ და პასუხისმგებელი არიან დიდი სახელმწიფოები.

ევროპაში ურთიერთგაგებისა და ნდობის განმტკიცების ახლანდელი პროცესები, ჩვენი აზრით, სახავს ფართო საფუძველზე მშვიდობისა და შეიარაღების განმტკიცების გზებს. ამას ადასტურებენ აგრეთვე სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებანი, და განსაკუთრებით ახლახან ხელმოწერილი შეთანხმება ბერლინის შესახებ. ამ თვალსაზრისით ჩვენ დიდად ვაფასებთ საბჭოთა კავშირის წვლილს. რასაკვირველია, მტკიცე მშვიდობა და უშიშროება ევროპაში გულისხმობს ურთიერთობის ისეთ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ევროპის ყველა ქვეყნის დამოუკიდებლობასა და საზღვრების მთლიანობას, აგრესიისაგან, ძალის გამოყენებისაგან, ზეგავლენისა თუ ძალით დამუქრებისაგან დაცვას.

ამასთან დაკავშირებით მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მშვიდობასა და სტაბილურობას ბალკანეთში და ხმელთაშუა ზღვის რაიონში არსებითი მნიშვნელობა აქვს ევროპაში დაძაბულობის შენელების პროცესის განგრძობისათვის. როცა ამას ვამბობ, უწინარეს ყოვლისა მხედველობაში მაქვს წარსულის მემკვიდრეობის გამო კონტინენტის ამ რაიონში ურთიერთობის გრძნობიერება და სიფთელე.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ბელგრადი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე Ი. ᲑᲠᲝᲖ ᲢᲘᲢᲝ 23 სექტემბერს ბელგრადის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს შენობაში განაგრძობდნენ მოლაპარაკებას. ᲮᲣᲠᲐᲗᲘᲡ: მოლაპარაკების დროს.

საკდესი (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

მოლაპარაკება ბელგრადში

ბელგრადი, 22 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡᲐ და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის Ი. ᲑᲠᲝᲖ ᲢᲘᲢᲝᲡ პირველი საუბარი.

ბელგრადი, 23 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ბელგრადის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს შენობაში მოლაპარაკება განაგრძეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲛᲐ და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ Ი. ᲑᲠᲝᲖ ᲢᲘᲢᲝᲛ.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი Ა. Მ. ᲙᲐᲢᲣᲨᲔᲕᲘ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე Ა. Ვ. ᲠᲣᲡᲐᲙᲝᲕᲘ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე Ნ. Ნ. ᲠᲝᲓᲘᲝᲜᲝᲕᲘ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში Ვ. Ი. ᲡᲢᲔᲞᲐᲜᲝᲕᲘ, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე Ა. Მ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘ.

იუგოსლავიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: ფედერაციის საბჭოს წევრი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის აღმასრულებელი ბიუროს წევრი Მ. ᲙᲐᲠᲓᲔᲚᲘ, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე Დ. ᲑᲘᲯᲔᲓᲘᲩᲘ, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის წევრი და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის აღმასრულებელი ბიუროს წევრი ᲒᲚᲘᲖᲝᲠᲝᲕᲘ, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის აღმასრულებელი ბიუროს წევრი Ლ. ᲓᲝᲚᲐᲜᲪᲘ, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის წევრი Ვ. ᲛᲘᲩᲣᲜᲝᲕᲘᲩᲘ, საგარეო საქმეთა საკავშირო მდივანი Მ. ᲢᲘᲛᲐᲜᲘᲩᲘ, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში Მ. ᲞᲘᲛᲘᲩᲘ, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის კაბინეტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი Მ. ᲛᲠᲬᲔᲜᲘᲪᲘ და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩეველი საგარეოპოლიტიკურ საკითხებში Მ. ᲛᲔᲚᲝᲕᲘᲩᲘ.

დღევანდელი მოლაპარაკების დროს, რომელიც გულახდილობისა და ურთიერთგაგების მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მსარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაუმჯობესებისადმი ორივე ქვეყნის მისწრაფების შესაბამისად, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებზე.

მოლაპარაკება გრძელდება.

Ვ. ᲛᲔᲥᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მთავრობის მაღალი ჯილდოები გადაეცათ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მოწინავეებს, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა და მედიცინის მეცნიერების მოღვაწეთა, სახალხო განათლების მუშაკთა დიდ ჯგუფს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა Შ. ᲙᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა Ვ. ᲛᲔᲥᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔᲛ ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და ურო“ გადასცა რესპუბლიკის მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებს, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მოწინავეებს, რომლებსაც მიეხვეჭათ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის.

დაჯილდოებულთ გადაეცათ ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „სოციალისტური ნიშნის“ ორდენები, medali „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი დიდი სიყვარულით, საბჭოთა ადამიანებზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის, მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის მადლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული ფოლადურის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის უფროსის, სოციალისტური შრომის გმირის რ. ᲗᲔᲗᲖᲐᲫᲘᲡ, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგის ნ. ᲨᲐᲨᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, თბილისის № 24 საშუალო სკოლის დირექტორის Ა. ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘᲡ, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მძახავის, სოციალისტური შრომის გმირის Ე. ᲙᲘᲠᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ და № 7 კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის Თ. ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲫᲘᲡ გამოსვლები. დაჯილდოებულთა სახელით მათ ვალდებულება აიღეს ამრავლონ თავიანთი შრომითი მიღწევები, კიდევ მეტი ენერგიით იბრძოლონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

Თ. ᲛᲔᲥᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔᲛ გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ. აღნიშნა რა გასულ ხუთწლედში მიღწეული წარმატებანი, მან თქვა, რომ ისინი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ყველა მშრომელის თავდადებული შრომის შედეგია. კიდევ უფრო პასუხსაგები ამოცანები დაუსახა სკკპ XXIV ყრილობამ საბჭოთა ხალხს მეცხრე ხუთწლედში. Თ. ᲛᲔᲥᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔᲛ გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს მშრომელები პირნათლად შეასრულებენ დასახულ ამოცანებს.

პარტიის ძირითადი ამოცანა, განაგრძო მან, ის არის, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესოს მშრომელთა კეთილდღეობა, მათი ცხოვრების პირობები. ამ ზრუნვის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა სკოლებისა და სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა, რაც ფართო მასშტაბით მიმდინარეობს რესპუბლიკაში. ახლა საქართველოში არ არის რაიონი, სადაც არ იყოს კარგად აღჭურვილი საავადმყოფო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ სამედიცინო სამეცნიერო დაწესებულებათა საჭიროებებს.

ეჭვი არ არის, თქვა დასასრულ Თ. ᲛᲔᲥᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔᲛ, რომ მიღებული ჯილდოები ახალ წარმატებათა მოპოვების საწინდარი იქნება, ხელს შეუწყობს მოზარდი თაობის აღზრდის გაუმჯობესებას, ჯანმრთელობის დაცვის განვითარებას. მან დღეგრძელობა და ბედნიერება უსურვა დაჯილდოებულთ. (საქდესი).

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲔᲬᲕᲔᲕᲐ ᲓᲔᲚᲡ

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის Ნ. Ვ. ᲞᲝᲓ

გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში

(დასასრული)

ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ არაბალკანური ქვეყნები გაგებით და პატივისცემით მოეკიდონ ბალკანთის ხალხების მისწრაფებას — გადალახონ არსებული სიძნელენი და უზრუნველყონ თანამშრომლობა.

იმედი გვაქვს, რომ უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი სრულიად ევროპის თათბირი, რომლის მუშაობაში თანასწორუფლებიანი მონაწილეობა უნდა მიიღოს ევროპის ყველა ქვეყანამ, ხელს შეუწყობს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დარჩენილი სიძნელეების უფრო სწრაფად და ეფექტიანად აღმოფხვრას, აგრეთვე ევროპაში თანამშრომლობის განვითარებასა და მშვიდობის განმტკიცებას.

თუნდაც, როგორც მოგეხსენებათ, შეძლებისდაგვარად, შეეჭიდა და კვლავაც შეეტანს თავის წვლილს და სავსებით დაუჭერს მხარს ევროპაში დაძაბულობის შემდგომ შუნელებასა და უშიშროების განმტკიცებას.

რა თქმა უნდა, ევროპაში მდგომარეობის გაუმჯობესება მჭიდროდ არის დაკავშირებული აგრეთვე მსოფლიოს დანარჩენ ნაწილებში მოვლენების განვითარებასთან. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ თანაბრად ვინაწილებთ შეშფოთებას იმის გამო, რომ გრძელდება კრიზისი ახლო აღმოსაღლეთში და საფრთხეო ინტერვენცია სამხრეთ ვიეტნამში და საერთოდ ინდოჩინეთში. ჩვენ ვიყენებთ ყოველ შესაძლებლობას, რათა მხარი დაუჭიროთ და დავეხმაროთ ამ ხალხების სამართლიან ბრძოლას აგრესიის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და მათი კანონიერი უფლებებისათვის, იმისათვის, რომ თვითონ წყვეტდნენ თავიანთ ბედს. მინდა აგრეთვე ხაზგასმით აღვნიშნო ჩვენი ქვეყნების წარმატებითი თანამშრომლობა ამ თვალსაზრისით.

მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევისათვის, რისთვისაც იღვწით თქვენც, ამხანაგო ბრეჟნევ!

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენი ბასლინდელი ყოფნა იუგოსლავიაში ხანმოკლეა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ შეძლებთ, ნაწილობრივ მაინც, გაეცნოთ ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში მოპოვებულ შედეგებს. ყველა ღონისძიება, რომელებსაც ვახორციელებთ სოციალისტური იუგოსლავიის განვითარებისათვის, მიზნად ისახავს ჩვენი ხალხების შემდგომ რევოლუციურ გარდაქმნას. ამ გარდაქმნების ობიექტური საფუძველია ჩვენი მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მიღწევები საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის სფეროში. მათი არსი კი არის ჩვენი სოციალისტური სისტემის შემდგომი განვითარება თვითმმართველობის განმტკიცების, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავების, ერებისა და ეროვნებების თანასწორუფლებიანობისა და მათი სუვერენული უფლებების განმტკიცების საფუძველზე სოციალისტური რესპუბლიკებისა და მხარეების როლის გაძლიერების გზით. სწორედ ეს არის ჩვენს ქვეყნაში ამასწინანდელი კონსტიტუციური ცვლილებების არსი. ეს ცვლილებები კიდევ უფრო შეუწყობენ ხელს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, გააძლიერებენ ჩვენს ხაზოგადოებას, რომელიც ემყარება თვითმმართველობას, და იუგოსლავიის, როგორც მრავალეროვანი თანაშეგობრობის შემაკავშირებელ ძალებს. ყველა ამ ცვლილების ძირითადი მამძრავებელი და წარმმართველი ძალა იყო და არის იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი.

პატივცემულო ამხანაგო ბრეჟნევ!

მინდა აღვნიშნო, რომ არაერთხელ მქონია შესაძლებლობა განსაკუთრებული კმაყოფილებით განმეცადა ლამაზი ქვეყნის სტუმართმოყვარეობა და გავცნობოდი საბჭოთა ადამიანების დიდ მიღწევებსა და აღმშენებლობითს საქმიანობას.

დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს თქვენს მიღწევებს სხვადასხვა დარგში და გულწრფელად გვასურებს ყოველი თქვენი წარმატება. მე დამრჩა წარუშლელი და სასიამოვნო მოგონებანი საბჭოთა კავშირში ჩემი ვიზიტების შესახებ და დაწმუნებული ვარ, რომ ისინი სასარგებლო იყო ჩვენს ქვეყნებს შორის ნდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ამ თასით გადღეგრძელებთ თქვენ, ამხანაგო ბრეჟნევ, თქვენს თანამებრძოლებს, აყვავებასა და ბედნიერებას ვუსურვებ საბჭოთა ხალხებს, გაშარჯვებას ვუსურვებ საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიის მეგობრულ ურთიერთობასა და შემდგომ წარმატებითს თანამშრომლობას, სოციალიზმსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ლ. ი. ბრეჟნევმა.

პმხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგო ტიტო!

ძვირფასო ამხანაგებო!

მეგობრებო!

უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა გადაგუხადო ამხანაგ ტიტოს მეგობრული მოსალმებისათვის, ჩვენი ქვეყნის, საბჭოთა ადამიანების მიმართ კეთილი სიტყვებისათვის. ამ სიტყვებით გამოხატულია იმ მეგობრობისა და ძმობის გრძნობები, რომლებიც ჩვენი ქვეყნების ხალხებს აკავშირებენ. ჩვენი ვალი, პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელთა ვალი ის არის, რომ კონკრეტულ საქმეებად, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ეს ბუნური თანამშრომლობის რეალურ პოლიტიკად ვაქციოთ ეს გრძნობები.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის დღეს დაწყებული მოლაპარაკების არსი. ჩვენ ჩამოვედით თქვენთან, რათა ერთად დავსახოთ ჩვენი პარტიებისა და სახელმწიფოების ურთიერთობის შემდგომი განვითარების გზები და განვიხილოთ ზოგიერთი საერთაშორისო საკითხი, რომლებიც ახლა ორივე მხარის ყურადღებას იპყრობენ.

ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები უბრალო როდია. ეს კარგად ესმით მოლაპარაკების როგორც საბჭოთა, ისე იუგოსლავ მონაწილეებს. რეალისტები არ ვიქნებოდით, რომ არ ვხედავდეთ, რომ ამ წლების მემკვიდრეობა, როცა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობა სერიოზულად შესუსტდა, ზოგ რამეში ახლაც იჩენს თავს. მაგრამ ჩვენ კომუნისტები არ ვიქნებოდით, ინტერნაციონალისტები არ ვიქნებოდით, რომ ვერ დავდგეთ წარსულზე მაღლა და ვერ დავინახოთ ჩვენი დროის ფართო ჰორიზონტები, ვერ შევიგნოთ ჩვენი ძირეული ინტერესების ერთობა, ჩვენი პასუხისმგებლობა მშვიდობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმისათვის საერთო ბრძოლაში.

ჩვენი ქვეყნების ხალხებს ძველთაგანვე დიდი, გულითადი და გულწრფელი მეგობრობის მტკიცე ურთიერთობა აკავშირებს. ენისა და კულტურის ნათესაობით წარმონობილი, საუკუნეთა მანძილზე ისტორიულ განსაცდელთა მსვლელობაში განმტკიცებული ეს მეგობრობა ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ ჩვენი არმიების თავდადებული გმირული ბრძოლის, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მამაც შეიღთა ბრძოლის ცეცხლში იწრთობოდა.

დღეს ჩვენი მეგობრობა ფართო და მტკიცე საფუძველს ემყარება. ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემებისადმი ერთგვარი განსხვავებული მიდგომის მიუხედავად ჩვენ საერთო კლასობრივი ინტერესები, საბოლოო მიზნების ერთობა გვაკავშირებს. იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ და მშვიდობის განმტკიცებისათვის, თავისუფლებისა და პროგრესის გამარჯვებისათვის მსოფლიო ისტორიულ ბრძოლაში ჩვენი ქვეყნების ხალხები ბარიკადის ერთ მხარეს დგანან როგორც ამხანაგები და თანამებრძოლი ძმები. ჩვენს სახელმწიფოებს შორის ვითარდება ფართო თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში, და ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებს თავიანთ მოვალეობად მიიჩნიათ იზრუნონ ამ თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი პრინციპები განმტკიცებულია ბელგრადის 1955 წლის დეკლარაციითა და მოსკოვის 1956 წლის განცხადებით. ახლა საქმე ეხება იმას, თუ როგორ უფრო სრულად და ფართოდ შევასრულოთ ეს პრინციპები თანამედროვე პირობებში.

ამაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანს ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით. განმტკიცდა ჩვენი კავშირურთიერთობა პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგებში, რეგულარული გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის კონტაქტები. მაგრამ ჩვენ, ამხანაგებო, ვიცით, რომ აქ ჯერ კიდევ არის დიდი გამოუყენებელი შესაძლებლობანი. ეს ეხება პოლიტიკურ თანამშრომლობას, რომელიც უფრო შინაარსიანი და რეგულარული უნდა იყოს. ეს ეხება მრეწველობის მთელ რიგ დარგებში შემდგომ ურთიერთხელსაყრელი სპეციალიზაციისა და კოოპერირების, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განმტკიცების პერსპექტივებსაც, დარწმუნებული ვარო, რომ დღეს დაწყებული ასრთა ურთიერთგაზიარება ხელს შეუწყობს შემდგომ წინსვლას საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობის ყველა სფეროში, გამოავლენს საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის ჩვენი ერთობლივი მუშაობის ახალ შესაძლებლობებს.

ჩვენ და თქვენ კარგად ვიცით, რომ მსოფლიოში არიან სხვადასხვა ძალები, რომლებსაც უნდათ შეაფერხონ ჩვენი ურთიერთობის ასეთი განვითარება, ესწრაფვიან გაალვიონ ყოველგვარი ეჭვთა სხვადასხვაობა, ყოველნაირად ცდილობენ უთანხმოება წარმოშვან ჩვენს შორის. სწორედ მათ მოიგონეს ეგრეთ წოდებული „შეზღუდული სუვერენიტეტის დოქტრინა“, სწორედ ისინი ავრცელებენ ჭორებს საბჭოთა არმიების შესახებ, რომლებიც თითქოს მზად არიან დაიჭრან ბალკანეთისაკენ, და ბევრ სხვა ამგვარ ზღაპრებს. ამტკიცებენ, თითქოს იუგოსლავია — ეს რაღაც „რუხი ზონაა“, რომ თითქოს იგი „დასავლეთისაკენ მიდის“ და სხვ.

ვფიქრობ, არც ღირს დრო დავკარგოთ მთელი ამ ცილისმწამებლური მონაჩმახის უარსაყოფად. მაგრამ იგი მოგვაგონებს, რომ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობის საქმე უნდა დაცვიცათ, დაგიცვათ და დაგიცვათ.

ამხანაგებო! ჩვენი შეხვედრა კეთილ, გულთბილ ვითარებაში დაიწყო. დარწმუნებული ვარ, რომ იგი კვლავაც ასეთი სულისკვეთებით წარიმართება. გულწრფელად მოხარული ვიქნებთ, თუ ჩვენი თანამშრომლობის, საერთაშორისო ასპარეზზე, და უწინარეს ყოვლისა ევროპაში, ჩვენი შეთანხმებული მოქმედების საკითხთა ამხანაგური განხილვა ხელს შეუწყობს ჩვენი პარტიებისა და სახელმწიფოების ურთიერთგაგებისა და მეგობრობის გაღრმავებას.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, ვადღეგრძელო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო, რომელსაც ქირადად დიდი წვლილი შეაქვს ჩვენი ხალხების მეგობრობის განვითარებაში.

წარმოვთქვამ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის აღმასრულებელი ბიუროს წევრთა, ყველა აქ დამსწრე იუგოსლავი ამხანაგის სადღეგრძელოს.

ნება მიბოძეთ გისურვოთ თქვენ და თქვენი სახით მომმე იუგოსლავიის ყველა კომუნისტსა და მოქალაქეს ბედნიერება, აყვავება, დიდი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში.

ი. ბროზ ტიტოსა და ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინეს. სიტყვების დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში.

ვასწამმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

იმავე დღეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. ი. ბროზ ტიტომ დიდი დარბაზობა გამართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის პატივსაცემად.

მსოფლიო დღე

ლონდონის კომპარტიის სენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბრატისლავა, 22 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმი განიხილავს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებულ ამოცანებს და გაეცნობა, თუ როგორ სრულდება სლოვაკიაში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ყრილობათა გადაწყვეტილებანი.

ამერიკის მხედრიონის ახალი ღანაშაული

ლონდონი. 22 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის ავიაციამ 21 სექტემბერს მოახდინა მასირებული დაბომბვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის რაიონებში, რომლებიც დემოლიტარიზებულ ზონას ეკუთვნის. ისევე, როგორც წინათ, ამერიკის შეერთებული შტატების სარდლობამ ეს ბარბაროსული დაბომბვა იმით გაამართლა, რომ საჭიროა დაიცვან ამერიკის თვითმფრინავები, რომლებიც აწარმოებენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაზვერვას. რეიტერის სააგენტოს ცნობის თანახმად, დღევანდელ დაბომბვაში ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე ათეული ზებგერითი ბომბდამშენი ავიაგამანადგურებელი მონაწილეობდა.

ბონი მშვიდობის განმტკიცებისათვის

22 სექტემბერი. (საკდესი). გერმანელთა კომუნისტური პარტიის გამგეობის პრეზიდიუმი გერმანელთა კომუნისტური პარტიის პრესის სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში მოსალმება ფედერალური კანცლერის ვ. ბრანდტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრის შედეგებს. ვ. ბრანდტისა და ლ. ი ბრეჟნევის შეხვედრა, ხაზგასმულია განცხადებაში, ხელს უწყობს ევროპის კონტინენტზე მშვიდობის შემდგომ განმტკიცებასა და დაძაბულობის შენელებას არსებულ პოლიტიკურ და ტერიტორიულ რეალობათა აღიარების საფუძველზე. იგი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობას უსაზიუ საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიანი და ნაყოფიერი თანამშრომლობის დიდ პერსპექტივებს.

სკკპ XXIV ყრილობის მიერ წამოყენებული მშვიდობის პროგრამა, აცხადებს გერმანელთა კომუნისტური პარტიის გამგეობის პრეზიდიუმი, სულ უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენს ევროპაში შემდგომ განვითარებაზე და მთლიანად და სავსებით შეესაბამება ფედერაციული რესპუბლიკის საარსებო ინტერესებს.

შემდეგ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ გერმანელთა კომუნისტური პარტიის გამგეობის პრეზიდიუმი მხარს უჭერს წინადადებას, რომ რაც შეიძლება მალე დაამტკიცონ ხელშეკრულებანი საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან, მოიწვიონ სრულიად ევროპის თათბირი უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სრული ცნობა საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, აღნიშნულია განცხადებაში, ერთადერთი შესაძლებელი კონსტრუქციული და მტკიცე საფუძველია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის.

გერმანელთა კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმი განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ საჭიროა კომუნისტებმა და სოციალ-დემოკრატებმა ერთობლივად იმოქმედონ ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის, იმისათვის, რომ ცნონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და მიიღონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. იგი მოითხოვს შეამცირონ სამხედრო ხარჯები, ილაშქრებს ფედერაციული რესპუბლიკისა და სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობის ნორმალიზაციის პოლიტიკაზე რეაქციული მემარჯვენე წრეების თავდასხმების წინააღმდეგ.

ბრიუსელი

მოლაპარაკება უშეღეგო აღმოჩნდა

22 სექტემბერი. (საკდესი). ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ბრიუსელის სესიაზე, რომელიც ... ევროპა-გაერთიანებებს: ... ინგლისის, ... ბელგიისა და ... ლონდონ-ბრიუსელ-ბონ-ბერლინ-ბრიუსელ-ბონ-ბერლინ-ბრიუსელ-ბონ-ბერლინ

დიდი მეცნიერი

ნიკოლოზ მუსხელიშვილი

აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილს დაბადებიდან ოთხმოცი წელი შეუსრულდა. ამ სახელოვან თარიღს დღეს დიდი ზეიმით აღნიშნავს ქართველი ხალხი და საბჭოთა კავშირის სამეცნიერო საზოგადოებრიობა. იუბილარის პატივსაცემად მრავალი გამოჩენილი საბჭოთა და უცხოელი მეცნიერია ჩამოსული. ამ იუბილეს ფართოდ აღნიშვნა სრულიად ბუნებრივია. ნ. მუსხელიშვილს დიდი პოპულარობა აქვს მოპოვებული მსოფლიოში როგორც მეცნიერს, რომელმაც თავისი შესანიშნავი ფუძემდებლური გამოკვლევებით გაამდიდრა მათემატიკისა და მექანიკის მრავალი დარგი.

განსაკუთრებით დიდია ნ. მუსხელიშვილის მეცნიერული ღვაწლი იმის გამო, რომ მან გზა გაუკაფა მეცნიერებაში კვლევის ახალ და მეტად ეფექტურ მეთოდებს. თვითონ მან ისინი დაამუშავა პირველად მექანიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის, ეგრეთწოდებული დრეკადობის თეორიის ბრტყელი ამოცანების შესასწავლად. ამ მიმართულებით მუშაობა ნ. მუსხელიშვილმა ჯერ კიდევ 1915 წელს, პეტროგრადში ყოფნის დროს, დაიწყო. როგორც ცნობილია, 1914 წელს მან დაამთავრა პეტროგრადის უნივერსიტეტი და აქვე შეუდგა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

შემაჯამებელი შრომა დრეკადობის თეორიაში — მონოგრაფია „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ ნ. მუსხელიშვილმა პირველად 1933 წელს გამოქვეყნა. მისმა შრომებმა და განსაკუთრებით ამ მონოგრაფიამ სპეციალისტთა დიდი უურადღება მიიპყრო და ავტორს პირველხარისხოვანი მკვლევარის სახელი მოუხვეჭა. შემდგომ ეს მონოგრაფია მრავალჯერ გამოიცა. მასში შევიდა ნ. მუსხელიშვილისა და მისი მოწაფეების მიერ მიღებული ბევრი ახალი შედეგი და დღეს იგი საქვეყნოდ აღიარებულია კლასიკურ ნაწარმოებად მათემატიკასა და მექანიკაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ნ. მუსხელიშვილის მეთოდები არსებითად სცილდება ამ მონოგრაფიის პრობლემატიკის ფარგლებს და ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობისაა, მათ წარმატებით იყენებენ მათემატიკისა და ფიზიკის არაერთ სხვა დარგში. მაგალითად, ეს მეთოდები ღრმად შეეჭრა დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში. მათი განვითარებითა და უშუალო გამოყენებით შეიქმნა ეგრეთწოდებულ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა დასრულებული თეორია ერთგანზომილებიანი სივრცის შემთხვევისათვის.

სინგულარულმა ინტეგრალურმა განტოლებებმა პირველად თავი იჩინა დიდი ფრანგი მეცნიერის პუანკარეს გამოკვლევებში ზღვებისა და ოკეანეების მოქცევა-უკუქცევის თეორიის დამუშავების დროს, ხოლო შემდეგ (შესაძლოა პარალელურად და ავსებით დამოუკიდებლად) — დიდი ვერმანელი მეცნიერის ჰილბერტის წმინდა მათემატიკურ გამოკვლევებში ეგრეთწოდებული რიმანის პრობლემის შესწავლისას. უნდა ითქვას, რომ ჩვენი დროის ამ ორმა უდიდესმა მათემატიკოსმა თავიდანვე ვერც კი შეამჩნია მათ მიერ შემოღებულ განტოლებათა თავისებურებანი და ამის გამო მათი ზოგიერთი დასკვნა, რომლებიც ფრედჰოლმის თეორიის გამოყენებით იყო მიღებული, მცდარი გამოდგა. მოგვიანებით ეს გარემოება თვით ჰილბერტმა და აგრეთვე სხვა მეცნიერებმაც შეამჩნიეს. ნათელი გახდა, რომ აღნიშნულ განტოლებათა მიმართ ძალას კარგავდა ფრედჰოლმის შესანიშნავი თეორია, რომელიც დღესაც ეთჰალურ აღმოჩენად ითვლება მათემატიკაში. იმიტომ იყო, რომ იმ ტიპის ინტეგრალურ განტოლებებს, რომლებიც პუანკარესა და ჰილბერტს ჰქონდათ განხილული, შემდგომ დაერქვათ სინგულარული, რაც განსაკუთრებულს, არარეგულარულს ნიშნავს.

ამასთანავე ყურადღებას იქცევდა ის გარემოება, რომ ეს ახალი ტიპის განტოლებანი დაკავშირებული იყო მეტად აქტუალურ თემატიკასთან, რამაც მათდამი მეცნიერთა ინტერესის გამახვილება გამოიწვია. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი კვლევა-ძიება გაჩნდა და საყურადღებო შედეგები მიიღეს გერმანიაში ნეტერმა, საფრანგეთში ფორომ, შვეიცარიაში კარლემანმა და სხვებმა. მაგრამ ამ დარგში დასრულებული სახის ჰქონე თეორიის დამუშავება ხაბჭოთა მათემატიკოსებს ხვდათ წილად. ეს მუშაობა ოცდაათიანი წლების დამლევს თბილისში წარიმართა ნიკო მუსხელიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით.

აკადემიკოსი ი. ვეკუა.

□

აღსანიშნავია, რომ დრეკადობის თეორიაში ნ. მუსხელიშვილის მიერ დაწერილ ფუძემდებლურ გამოკვლევებში გამოყენებულია ეგრეთწოდებული კოშის ტიპის ინტეგრალი, რომელიც არსებით როლს ასრულებს სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა შედგენილობაში და აგრეთვე მათი თვისებების შესწავლის დროს. გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში თვით დრეკადობის თეორიის ამოცანებს, რომლებიც ნ. მუსხელიშვილს სხვა გზით ჰქონდა შესწავლილი, უშუალოდ მივყავართ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებამდე. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ნ. მუსხელიშვილისა და მისი თბილისელი მოწაფეების ღრმად დაინტერესებას აღნიშნული პრობლემატიკით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯ. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში ამ პრობლემატიკის შესასწავლად ნ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით მეტად ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა გაიშალა, რამაც მალე შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. მოპოვებულ შედეგებში განსაკუთრებით დიდი წილი უძევს თვით ნ. მუსხელიშვილს, რომელმაც ამასთანავე მათ დასრულებული სახე მისცა და შეაჯამა მონოგრაფიაში „სინგულარული ინტეგრალური განტოლებანი“.

ეს მონოგრაფია პირველად 1946 წელს გამოიცა და მალე, ისევე როგორც მისი მონოგრაფია დრეკადობის თეორიაში, მრავალ უცხო ენაზე ითარგმნა და საზღვარგარეთ გამოქვეყნდა. ამჟამად ნ. მუსხელიშვილის „სინგულარული ინტეგრალური განტოლებანი“, რომელიც მეორედ გამოვიდა შევსებული და გადამუშავებული სახით, სპეციალისტებისათვის სამაგიდო წიგნს წარმოადგენს მთელ მსოფლიოში. ამ წიგნზე აღიზარდა ახალგაზრდა მეცნიერთა არაერთი თაობა, რომლებიც ავითარებენ მასში მოცემულ შედეგებს და იყენებენ მათ სხვადასხვა სფეროში კვლევა-ძიებისათვის.

ქართველი მეცნიერის ფუძემდებლური შედეგებიდან, რომლებიც ამ მონოგრაფიაშია შესული, ცალკე უნდა მოვიხსენიო მისი კლასიკური ფორმულა სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემის ინდექსისათვის. აქვე დავძენ იმასაც, რომ ინდექსის პრობლემა, რომლის შესწავლაში ნ. მუსხელიშვილმა და მისმა მოწაფეებმა არსებითი წვლილი შეიტანეს, დღეს თანამედროვე მათემატიკის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა გახდა.

იუბილარის კალამს ეკუთვნის ოთხმოცამდე მეცნიერული გამოკვლევა. მისმა ნაშრომებმა დიდი გავლენა იქონია მათემატიკური ფიზიკის და დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის განვითარებაზე. ნ. მუსხელიშვილის მიერ შემუშავებული და განვითარებული მეთოდების საფუძველზე დაწერილია უამრავი ნაშრომი როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. მის შედეგებს ფართოდ იყენებენ აგრეთვე ტექნიკის დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად.

ნ. მუსხელიშვილის მეცნიერული შემოქმედების გვირგვინია ჩვენ მიერ ზემოთ განხილული კაპიტალური მონოგრაფიები, რომლებისთვისაც თავის დროზე ავტორს ორგზის მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია. აღსანიშნავია ის ფრიად მაღალი შეფასება, რაც ამ მონოგრაფიებს მისცა მათემატიკის, მექანიკისა და თეორიული ფიზიკის მრავალმა გამოჩენილმა საბჭოთა და უცხოელმა მკვლევარმა.

წერილის მოცულობა საშუალებას არ მაძლევს შევეხო ნიკო მუსხელიშვილის მოღვაწეობის ყველა მხარეს. მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ის დიდი ამაგი, რომელიც მას სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში მიუძღვის. ნ. მუსხელიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით და მის სამეცნიერო შრომებზე აღიზარდა საქართველოს მეცნიერთა მრავალი თაობა და ჩამოყალიბდა თბილისის მათემატიკური სკოლა, რომლის მიღწევები კარგახანია საქეყნოდ აღიარებული და დაფასებულია.

ნიკო მუსხელიშვილის სამეცნიერო-ორგანიზატორული მოღვაწეობა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა იმით, რომ ჩვენი სახელოვანი იუბილარი თბილისის უნივერსიტეტში მუშაობის დაწყებისთანავე შეუდგა სამეცნიერო კერების შექმნას. ნ. მუსხელიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით 1933 წელს უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა მათემატიკისა და მექანიკის ინსტიტუტი. ნ. მუსხელიშვილი იყო მთავარი ინიციატორი უნივერსიტეტში ფიზიკის ინსტიტუტის შექმნისა, მან დიდად შეუწყო ხელი აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიისა და მრავალი სხვა სამეცნიერო დაწესებულების დაარსებას.

ფასდაუდებელია ნ. მუსხელიშვილის როლი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნასა და განვითარებაში, აკადემიისა, რომლის უცვლელი პრეზიდენტია მისი დაარსების დღიდან. ამ საპატიო პოსტზე მოღვაწეობით მან დიდი ამაგი დასდო საქართველოში მეცნიერების განვითარებას.

მრავალი წელია ნ. მუსხელიშვილი ფრიად სასარგებლო და საპასუხისმგებლო მუშაობას ეწევა როგორც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო კავშირის ბიუროს წევრი, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის და უმაღლესი საატესტაციო კომისიის წევრი. ნ. მუსხელიშვილი არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

ნიკო მუსხელიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობის ამ მოკლე და არასრული მიმოხილვის შემდეგ არ შემიძლია მკითხველს არ გავუზიარო ზოგი რამ ჩემი უშუალო დაკვირვებიდან იუბილარის პიროვნულ, წმინდა ადამიანურ თვისებებზე. მე ბედმა მარგუნა ნ. მუსხელიშვილთან ხიახლოვე ათეული წლების განმავლობაში, და ეს ჩემთვის დიდი ცხოვრებისეული სკოლა იყო. დარწმუნებული ვარ, ასევე ფიქრობს ყველა, ვინც მასთან ცოტა ხნით მაინც ახლოს ყოფილა, მოუსმენია მისი სადა, მაგრამ შთამბეჭდავი საუბარი, ღრმად გააზრებული ლექციები და მეცნიერული მოხსენებანი, უგრძნია მისი იუმორის სიმდიდრე და ხინკიფეი, მისი ხსარტი სიტყვის ძალა, მისი ჭეშმარიტი დემოკრატიზმი და დიდი პუმანურობა. რაც მთავარია, ყოველივე ეს იმდენად სასხლბორცეულად არის დაკავშირებული მის არსებასთან, რომ ხელოვნურობის, ნაძალადევობის ოდნავი ნასახიც არ ახლავს.

უნდა ვიფიქროთ, ბევრი ამ თვისებათაგანი ნ. მუსხელიშვილს შთამომავლობით მოსდევს. როგორც ცნობილია, იგი იზრდებოდა მტკიცე დემოკრატიული ტრადიციების მქონე უაღრესად ინტელიგენტურ ოჯახში. პატარობისას და შემდგომაც, უფრო მოწიფულ ასაკშიც, მას მრავალი საფუძული გაუტარებია დედულეთში — სოფელ მაწეკანში (თეორი წყაროს რაიონი). ამ წლებს იგი ყოველთვის დიდი კმაყოფილებით იგონებს. მშრომელ ხალხთან ხიახლოვე, გლეხობის მძიმე ცხოვრების გაცნობა ისეთი გონებაგახსნილი და ხათუოი გულის მქონე მოზარდისათვის, როგორიც ნ. მუსხელიშვილი იყო, ცხადია, უკვალოდ ვერ ჩაივლიდა.

დასახარულ, იმედი მაქვს არ მიწყენს ძვირფასი იუბილარი, თუ ვიტყვი, რომ ყველფერში, რასაც იგი აკეთებს ან ამბობს, იგრძნობა დიდი სიბრძნე, სიდინჯე და აუჩქარებლობა, ვითარების ღრმად განქვრეტა, ამასთან რკინისებური სიმტკიცე და თანმიმდევრულობა წამოწყებული საქმის ბოლომდე მისაყვანად. ან კი სხვანაირი როგორ შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც მრავალი ათეული წელია დაუღალავად მესვეურობს ქართველ მეცნიერთა სახელოვან შტაბს, მთელ ქართულ მეცნიერებას.

ნ. მუსხელიშვილის ღვაწლსა და ამაგს დიდად აფასებენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ნ. მუსხელიშვილს საბჭოთა მეცნიერთაგან ერთ-ერთ პირველს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. იგი დაჯილდოებულია სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის მრავალი ორდენითა და მედლით.

აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის სახით ჩვენ გვაყავს მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული დიდი მეცნიერი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. ვუსურვოთ მას დიდხანს გრძელობა, ჯანმრთელობა და კიდევ დიდხანს ნაყოფიერი მოღვაწეობა მშობელი ხალხის, საბჭოთა მეცნიერების საამაყოდ და საკეთილდღეოდ.

□

მათემატიკოსთა სიმპოზიუმი

22 სექტემბერს თბილისში მუშაობა დაიწყო საერთაშორისო სიმპოზიუმმა მთლიანი გარემოს მექანიკისა და ანალიზის მონათესავე პრობლემების შესახებ.

სიმპოზიუმზე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მსხვილი სამეცნიერო ცენტრების 200-ზე მეტი მეცნიერი.

მათემატიკოსთა ფორუმი გახსნა სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ი. ვეკუამ.

საქართველოს მთავრობის სახელით სიმპოზიუმის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. კიკნაძე.

შემდეგ სტუმრებს მიესალმა საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარე პროფესორი ა. ხარაძე.

სიმპოზიუმის **მუშაობის პირველ** დღის დილის სხდომაზე მიმოხილული მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა მ. ლავრენტიევმა.

სიმპოზიუმის მუშაობა 29 სექტემბრამდე გასტანს. (საქდესი).

საუკუნო ღვაწლი

□ ნიკოლოზ მუსხელიშვილის წიგნის ზერელედ წაკითხვის დროსაც კი თვალში გეცემათ, რომ იქ ორიგინალურად არის ამოხსნილი არა მარტო მის მიერ დასმული ამოცანები, არამედ ის ამოცანებიც, რომლებიც უკვე კარგახანია ამოხსნილი აქვთ სხვა ავტორებს... ჩემი ამ მოკლე ნარკვევიდან ჩანს როგორც წიგნის შინაარსის სიმდიდრე, ისე მასში განხილული საკითხების მრავალფეროვნება და დიდი მნიშვნელობა, მათ გადასაწყვეტად გამოყენებული მეთოდების ორიგინალურობა და ერთობა.

აკადემიკოსი ა. კრილოვი.

□ **მუსხელიშვილის** ნაშრომებმა არ შეიძლება უაღრესად ღრმა შთაბეჭდილება არ მოახდინოს მკითხველზე თავიანთი სიცხადით, სასიამოვნო დარბაისლური სტილით და ყოველი დეტალისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით. ათასამდე გვერდზე ვერსად შეხვდებით ისეთ ადგილს, რომელიც უყურადღებოდ იყოს შესრულებული. ყველა არსებითი საკითხი ახსნილია, მსჯელობა უმაღლეს დონეზეა აყვანილი თვით დამატებებშიც კი... თუ რაიმე მხრივ შეიძლება სინანული გამოითქვას, მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ ავტორი თავის შეხედულებებს მექანიკაზე სრული სახით მარტოოდენ წმინდა მათემატიკური თვალსაზრისით გადმოგვცემს. საკანი გაშუქებულია მხოლოდ ერთი მხრივ, მაგრამ რაოდენ ბრწყინვალედ!

პროფესორი რ. ჰილი.
(ინგლისის სამეცნიერო ჟურნალი „ბუნება“).

□ **თუმცა ამ** ნაშრომის პირველი რუსული გამოცემა (ლაპარაკია ნ. მუსხელიშვილის მონოგრაფიაზე დრეკადობის თეორიაში. — რედ.) ოცი წლის წინათ გამოვიდა, ამ ხნის განმავლობაში ინგლისურ ენაზე ისეთი არაფერი დაბეჭდილა, რაც თავისი მასშტაბით შეიძლებოდეს მას შეეპაროთ, წიგნის ძირითადი ღირსებაა ის, რომ მასში პრინციპები სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული...

ნაშრომი ფლობს უამრავ ახალ მასალას **არა მარტო** იმ მეცნიერთათვის, რომლებიც ვერ ფლობენ რუსულ ენას, არამედ ავასთანავე იმი გამოირჩევა კლასიკური თეორიის გადმოცემაში ახსნა-განმარტების თავისი ნათელი სტილით... ამ წიგნით სარგებლობა შეიძლება ხალისით ვუჩიოთ აღნიშნული დარგის ყველა მკვლევარს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს წიგნი ჯეროვან აგდილ დაიპერს ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში როგორც სახელმძღვანელო.

(ამერიკული „გამოყენებითი მექანიკის ჟურნალი“).

□ ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი არის დრეკადობის თეორიის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მკვლევარი, რომელმაც ამ თეორიის განვითარებაზე მეტად მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც. ჩვენს ქვეყანაში ნ. მუსხელიშვილმა შექმნა ახალგაზრდა თვალსაჩინო მეცნიერთა მთელი სკოლა. ნ. მუსხელიშვილის ყველა ნაშრომი უაღრესად საინტერესოა, გვაძლევს ძვირფას ახალ მასალას და იწვევს სხვა ავტორთა ახალ გამოკვლევებს.

აკადემიკოსი ს. ჩაპლიგინი.

მსოფლიო აღიარება

აი რას ამბობენ გამოჩენილი ადამიანები

□

იუბილარმა მსოფლიო მეცნიერის სახელი მოიხვეჭა. მათემატიკის მეცნიერების განვითარებაში უდიდესი დამსახურების აღიარების ნიშნად იგი არჩეულია გულგარეთის, პოლონეთის და გერმანიის (გერლინში) მეცნიერებათა აკადემიების უცხოელ წევრად, დაჯილდოებულია ოქრის მედლით — ხლოპაკინის მეცნიერებათა აკადემიის წარჩინების უმაღლესი ნიშნით, „ბულგარეთის კრილესა და მეთოდის სახელობის პირველი ხარისხის ორდენით. 1969 წელს კაკადემიურ ნ. მუსხელიშვილს, პირველს საბჭოთა მეცნიერებს შორის და მეხუთეს მსოფლიოს მათემატიკოსთა შორის, მიენიჭა საერთაშორისო პრემია „ბოლსტო პან

სვანეთი — ტურიზმის მხარე. (საქდენის ფოტოქრონიკა).

ფეხბურთის სეზონებზე

მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვის „სპარტაკი“ საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ გამოტოვებულ მატჩში მასპინძლობდა ვოროშილოვგრადის „ზარიას“. მწვავე, უკომპრომისო ასპარეზობა დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით, ანგარიშით 2:0.

მოსკოვის „სპარტაკმა“ მე-9 ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო „ზარიამ“ საგრძნობლად გაუუარესა საპრიზო ადგილისათვის ბრძოლის შანსები.

ფინიში ახლოა

გაიმართა ქვეყნის ჩემპიონატის მეორე ჯგუფის გუნდების მორიგი შეხვედრები. კვლავ წარუმატებლად ითამაშა ერთ-ერთმა ლიდერმა— რუსთაველის „მეტალურგმა“ სტუმრად. მან ქულა დაკარგა პოდოლსკის „მაშინოსტროიტელთან“ შეხვედრაში — 1:1. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა რიაზანის „სპარტაკისა“ და გორის „დილას“, ვოლოგდის „დინამოსა“ და მახარაძის „მერცხლის“ ასპარეზობა. კიროვის „დინამომ“ დაამარცხა ფოთის „კოლხეთი“ — 1:0, ბათუმის „დინამომ“ — ვლადიმირის „მოტორი“ — 2:1, ხოლო ტყიბულის „მეშახტემ“ — ნოვომოსკოვსკის „ხიმიკი“ — 2:0.

გუშინ გორის „დილამ“ დაამარცხა სოხუმის „დინამო“—2:1.

პირველ და მერვე ჯგუფებში

გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები პირველ და მერვე ჯგუფებშიც.

რუმინელებმა ჰელსინკში დაამარცხეს მასპინძლები 4:0. ამ ჯგუფში ლიდერობენ ჩეხოსლოვაკიელები, რომლებსაც შვიდი ქულა აქვთ რვიდან, რუმინელებს კი ხუთი.

კრაკოვში პოლონელებმა სძლიეს თურქებს 5:1. ლიდერია გფრის ნაკრები (შვიდი ქულა რვიდან). პოლონელებს ორი ქულით ნაკლები აქვთ.

ძალოსნობა

ლიმის ფიცარნაგზე

მსუბუქი წონის ძალოსანმა ზბიგნევ კაჩმარეკმა პოლონეთის გუნდს მეორე თქრის მედალი მოუტანა პლანეტის უღონიერეს ადამიანთა ასპარეზობაზე ლიმაში. სამჭიდის ჯამში კაჩმარეკმა 440 კგ დაგროვა და ხუთი კილოგრამით გაუსწრო თავისივე თანამემამულის ცნობილ ვალდემარ ბაშანოვსკის. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა საბჭოთა ათლეტმა მოსკოველმა მუხარბი კირეინოვმა — 430 კილოგრამი.

ქვესაშუალო წონის ათლეტთა შორის შესანიშნავად გამოვიდა საბჭოთა ძალოსანი ამურის ოლქის ქალაქ ბლაგოვეშჩინსკიდან 23 წლის ვლადიმერ ჯანგიანი. მისი შედეგი სამჭიდში — 477,5 კილოგრამი — მეორედ იქნა ნაჩვენები მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. ვ. ჯანგიანმა წელს გუნდში შეიყვანა სახელგანთქმული ვიქტორ კურენცოვი — მსოფლიოს მრავალგზის და ოლიმპიური ჩემპიონი.

ვერცხლის მედალი მოიპოვა ნორვეგიელმა ლაიფ ოინსენმა, რომელიც გამარჯვებულს 10 კილოგრამით ჩამორჩა, ბრინჯაოსი — იტალიელმა ანსელმო სელვინომ.

საბჭოთა გუნდი — ლიდერი

სსრ კავშირის ნაკრებმა, გუნდმა, განიმტკიცა ლიდერობა ევროპის ფეხბურთელთა ჩემპიონატის მეოთხე შესარჩევ ჯგუფში. საბჭოთა გუნდმა კიდევ ორი მატჩი უნდა გამართოს: 18 ოქტომბერს ბელფასტში ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებ გუნდთან და 27 ოქტომბერს მადრიდში— ესპანეთის გუნდთან. ამის შემდეგ გამოვლინდება ჯგუფის გამარჯვებული, რომელიც უფლებას მიიღებს მომავალი წლის ზაფხულში გამოვიდეს ჩემპიონატის მეოთხედფინალში.

აი მეოთხე შესარჩევი ჯგუფის გუნდების მდგომარეობა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
1. სსრ კავშირი	4	4	0	0	12-3	8
2. ესპანეთი	3	2	0	1	6-2	4
3. ჩრდილოეთ ირლანდია	4	2	0	2	8-4	4
4. კვიპროსი	5	0	0	5	2-19	0

მძლეოსნურ ბილიკებზე

დასავლეთ გერმანიის მძლეოსან ვაჟთა გუნდმა ანგარიშით 112,5:99,5 მოუგო სტუმრად ჩასულ ფინეთის ნაკრებს. გამარჯვებულთა შორის მაღალ შედეგებს უჩვენეს უვე ბაიერმა უროს ტყორცნაში — 73,12 მეტრი, ჰანს ბაუმჰარტნერმა — გადახტა 3[illegible] სმ-ზე, კლაუს-პეტერ ჰინიგმა — ბადრო ტყორცნა 61 მეტრზე.

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ კარლოვი-ვარში საერთაშორისო ასპარეზობაზე პოლონელმა სპორტსმენმა ქალმა ჰელენა ფლიშნიკმა 100 მეტრი გაირბინა 11,4 წამში.

იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში მსოფლიოს რეკორდსმენმა ჭოკით ხტომაში ბერძენმა ქრისტოს პაპანიკოლაუმ დაძლია 520 სანტიმეტრი.

ჭადრაკი

ქალთა ჩემპიონატის წინ

1 ოქტომბერს სოჭში იწყება საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი ქალთა შორის. მასში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი მოჭადრაკე, მსოფლიოს ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს (მისი საჭადრაკო კალენდარი წელს ფრიად დატვირთულია), ნ. ალექსანდროასი და ა. კუშნირს (რომლებიც ერთმანეთთან შესასვეედრად ემზადებიან) გარდა.

სოჭში ითამაშებენ საერთაშორისო ოსტატები ტ. ზატულოვსკაია (ბაქო), მ. რახიეკი (ტალინი), ნ. კონოპლოვა, ე. ბოგატიროვა (ორივე მოსკოვიდან), კ. სკეგინა (მოსკოვის ოლქი), ლ. კისლოვა (ომსკი), ოსტატები ც. კობაიძე, ე. კაკაბაძე (ორივე თბილისიდან), თ. ვოლოვეი (მინსკი), რ. ბილუნოვა (მოსკოვის ოლქი), მ. შული (ლვოვი), ლ. სემიონოვა (კიევი), ლ. ბელავენეცი (მოსკოვი), ოსტატობის კანდიდატები ე. ბალაშოვა (მოსკოვი), ი. ლევიტინა (ლენინგრადი), ტ. ფომინა (ტალინი), ა. საკოვა (ბაქო), ა. მერტსალი (ტაშკენტი).

ამრიგად, ბრძოლაში ჩაებმება ორი თბილისელი. ც. კობაიძემ ეს უფლება მოიპოვა საკავშირო პირველობის ვლადიმირის ნახევარფინალში ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ. ე. კაკაბაძემ, რომელიც უკანასკნელ წლებში შეჯიბრებებში იმვიათად მონაწილეობდა, წარმატებით ითამაშა „სპარტაკის“ საკავშირო ჩემპიონატში. ეს ასპარეზობა საკავშირო პირველობის ნახევარფინალად ჩაითვალა.

საკავშირო ჩემპიონატი სოჭში ერთ თვეს გასტანს.

ფეიმთხვევა

ფხიზელი მემანქანე

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ვლადიმერ ჩიქოვანი კარგა ხანია ელმავლის მემანქანედ მუშაობს. იგი დახელოვნებული და ფხიზელია, უსაფრთხოდ ატარებს შემადგენლობას.

ეს ამბავი ამას წინათ მოხდა. ვლ. ჩიქოვანმა სადგურ ხარაგოულიდან ხაშურისაკენ დასძრა სამგზავრო მატარებელი სოფი-თბილისი. ბნელოდა. ფხიზელმა მემანქანემ ელმავლის შუქზე შეამჩნია, რომ ლიანდაგზე ზვავი ჩამოწოლილიყო. იგი არ დაიბნა, შემადგენლობა დამუხრუჭა და ზვავამდე სამოოდე მეტრის დაშორებით გააჩერა, კატასტროფა თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ მემანქანის სიფხიზლე-მოსაზრებულობამ იხსნა მგზავრები და მატარებელი.

სსრ კავშირის გზათა მინისტრის ბრძანებით მემანქანე ვლ. ჩიქოვანი ახლახან დაჯილდოდა „საპატიო რკინიგზელის“ სამკერდე ნიშნით.

ვუპასუხებთ მკითხველებს

„პატივცემულო რედაქციავ! წავიკითხე თქვენს გაზეთში პროფესორ ს. ხუციშვილის წერილი მთაწმინდის პანთეონზე. ის ალბათ ჩვენსავით ბევრს დაეხმარა. უფრო სრულად გაეგო, თუ ვინ განისვენებს ქართველ მოღვაწეთა ამ დიდებულ სავანეში. მთაწმინდის გარდა კიდევ რამდენი პანთეონია საქართველოში? სად განისვენებენ ჩვენი სახიქადულო წინაპრები? დაცულია თუ არა მათი საფლავები? მგონი სხვასაც დაეინტერესებს პასუხი ამ კითხვაზე. მთ უმატეს, რომ ს. ხუციშვილის წიგნი „ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი“ უკვე კარგა ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა“, — გვწერს ბათუმელ მოსწავლეთა ჯგუფი.

აი კიდევ ერთი წერილი: „პატივცემულო რედაქციავ! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მოგვითხროთ დიდუბის პანთეონის შექმნაზე, როდის, ვისი ინიციატივით გახსნა იგი და ვინ არიან იქ დაკრძალულნი“ — გვეკითხება თბილისიდან ომარ ქორიძე.

ქვემოთ ვბეჭდავთ ს. ხუციშვილის წერილს ამ შეკითხვაზე.

დიდუბის პანთეონი

ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა სხვადასხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ჩამოყალიბებაშიც ვლინდებოდა. ქართული პრესისა და ჟურნალისტიკის, თეატრისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სხვა კულტურულ წამოწყებათა გაჩენა და განვითარება XIX საუკუნის მეორე ნახევარში მაჩვენებელი იყო ამ მოძრაობის ინტენსივობისა.

მეფის ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი როგორც სამოქალაქო, ისე სასულიერო წოდებისა, წლების განმავლობაში იმას ცდილობდა, რომ ქართველს დედაენა და თავისი წეს-ჩვეულებები დავიწყებოდა. სხვადასხვა ჯურის ჩინოსნების — ვოსტორგოვების, იანოვსკეგებისა და ჩუდეცკების მისწრაფება იყო გადაგვარება ქართველობისა და ქართველთა დედაენის მოსპობა.

ქართველი ინტელიგენცია ყოველთვის უწევდა წინააღმდეგობას ასეთ გამოხდომებს და დიდი ენერგიის დაძაბვით თავიდან იცილებდა ეროვნული საუნჯის — ენის დაღუპვის საშიშროებას. უთანასწორო ბრძოლის მაგალითებად დიმიტრი ყიფიანის ტრაგიკული თავგადასავლისა და დავით ერისთავის პიესის — „სამშობლოს“ ირგვლივ ატეხილი მითქმა-მოთქმის დასახელებაც იკმარებდა! ილია ჭავჭავაძის წერილები „კატკოვის პასუხად“ (1882 წ.), „აი ისტორია“ (1889 წ.), „ქვათა ღაღადი“ (1899 წ.) და სხვანი იყო ეროვნული საუნჯის დაცვისათვის ბრძოლა.

ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის შექმნის იდეაც დაკავშირებულია ხსენებულ მოძრაობასთან. გასული საუკუნის 90-იან წლებში დადგა საკითხი ჩვენში პანთეონის შექმნისა, ეროვნული კულტურის გარდაცვლილ მოღვაწეთა ერთ ადგილზე დასაფლავებისა, რაც სწორედ ეროვნული კულტურის სიყვარულისა და მის მუშაკთა პატივისცემის გამოხატულება იქნებოდა.

ქართული პრესა არაერთხელ გამოსულა პანთეონის შექმნის თაობაზე, მაგრამ ეს გამოსვლები იმდენჯერვე უშედეგოდ დარჩენილა. მაგალითად, როცა 1902 წელს გარდაიცვალა ასიკო ცაგარელი, დრამატურგი და ქართული განახლებული თეატრის დიდი მოღვაწე, დაისვა საკითხი კუკიის სასაფლაოზე ადგილის შეძენისა, სადაც ქართული თეატრის მოღვაწეთა პანთეონი უნდა დაარსებულიყო. მარილაც ერთ პატარა მონაკვეთზე, ა. ცაგარლის შემდეგ იქ დაკრძალეს ნატო გაბუნია-ცაგარლისა, ლადო აღნიაშვილი, კოტე მესხი, შიო ჩიტაძე (მისი საფლავი ამ რამდენიმე წლის წინ გაუქმდა), რითაც ამოიწურა ეს საკითხი.

90-იანი წლების დამდეგიდან რამდენიმე საზოგადო მოღვაწე და მწერალი იქნა დასაფლავებული დიდუბის ეკლესიის გალავანში მოქცეულ საერთო სასაფლაოზე. მაგალითად, 1890 წელს აქ დასაფლავეს საქართველოს ისტორიის დიდი მოღვაწე დიმიტრი ბაქრაძე, 1892 წელს იქ დაიმარხა ივანე კერესელიძე, რომელმაც სიცოცხლეცა და ქონებაც ქართულ ჟურნალისტიკას შეალია. 1891 წელს იქ დასაფლავეს მიხეილ ყიფიანი, ი. ჭავჭავაძის თერგდალეულობის თანამედროვე და „საქართველოს მოამბის“, თანამშრომელი; დიმიტრი ფურცელაძე, საქართველოს ისტორიის მასალების შემგრები და კომენტატორი. 1893 წლის აპრილში დიდუბეში დიდი ზეიმით მიწას მიაბარეს განჯიდან გადმოსვენებული ნეშტი ნიკო ბარათაშვილისა. 1898 წელს იქ დაიმარხნენ ილია ოქრომჭედლიშვილი და ალექსანდრე რონინიშვილი, დაუღალავი მოღვაწენი საქართველოს მატერიალური კულტურისა, ქართული ენისა და ლიტერატურისა. 1900 წელს იქ დასაფლავეს კონსტანტინე მამაცაშვილი და გიორგი წერეთელი.

ასე შეიქმნა ტრადიცია დიდუბის ეკლესიის ირგვლივ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დასაფლავებისა გასული საუკუნის ბოლოს, რაც ამ საუკუნის დასაწყისშიც გაგრძელდა. მაგალითად, პირველ ათეულ წლებში დიდუბეში დაიმარხნენ ი. გოგებაშვილი (1912 წ.), ჭოლა ლომთათიძე (1915 წ.) ვაჟა-ფშაველა (იმავე წელს,), ნიკო ცხვედაძე (1911 წ.), აღ. ხანანაშვილი (1912 წ.), თედო ეორდანია და ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი) (1916 წ), კიტა აბაშიძე (1917 წ.), ლადო ალექსიმესხიშვილი (1920 წ.).

ძველათ დიდუბის ეკლესიასთან ქართველ მოღვაწეთა პანთეონის დაარსება ოფიციალურად მაინც ვერ მოხერხდა, ეკლესიის ირგვლივ იმარხებოდა ყველა, რადგან იგი საერთო სასაფლაო იყო და მწერალ-მოღვაწეები სხვა მიცვალებულთა შორის იყვნენ დამარხულნი.

საკითხი სიმწვავეს მაშინ მიიღებდა, როცა რომელიმე მოღვაწე გარდაიცვლებოდა. ამასთან დაკავშირებით ბევრი წერილი არის დაბეჭდილი 10-იანი წლების გაზეთებში, მათ შორის იუმორისტულიც. მაგალითად, 1915 წლის „ეშმაკის მათრახში“ (№ 7) დაბეჭდილია თაგუნას („ზალვა მარაშვილის“) წერილი „პანთეონი“.

1915-1921 წლებში მოხდა ახლანდელი პანთეონის პირველი სახის ჩამოყალიბება. მაშინ ერთმანეთის ახლოს დასაფლავეს კიტა აბაშიძე (1917 წ.), ლუარსაბ ბოცვაძე (1919 წ.), უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი იოსებ ყიფშიძე (1919 წ.). შემდეგ სოფრომ მგალობლიშვილი (1925 წ.) შიო არაგვისპირელი (1926 წ.), კოტე მაყაშვილი (1927 წ.) და სხვანი, ხოლო სულ მალე თბილისის საქალაქო საბჭომ დაადგინა დიდუბის სასაფლაოს გაუქმება, როგორც საერთო სამარხისა და მისი გადაქცევა მხოლოდ ქართველ მოღვაწეთა უკანასკნელ ადგილსამყოფელად, რის შემდეგაც დიდუბის პანთეონმა მიიღო გარკვეული და ჩამოყალიბებული სახე.

პანთეონში ამ ხნის განმავლობაში ხდებოდა ცვლილებები. ზოგიერთი მოღვაწის ნეშტი სხვაგან იქნა გადატანილი. დიდუბიდან მთაწმინდაზე გადაასვენეს ნიკოლოზ ბარათაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა (ვაჟას ნასაფლავარი დაეთმო მის ცოლს — თამარს). დიდუბის პანთეონში სხვა სასაფლაოებიდან გადმოასვენეს ნეშტი პლატონ იოსელიანისა (იგი ემარხა თავისსავე აგებულ ეკლესიაში ამაღლების ახლანდელ დავითაშვილის ქუჩაზე), ეკატერინე გაბაშვილი (ვაკის სასაფლაოდან), ნიკო ხიზანაშვილი (პეტრეპავლეს სასაფლაოდან), დუტუ მეგრელი, ანასტასია ერისთავი-ხოშტარიასი, ლადო ასათიანი, ეთიმ გურჯი (ვაკის სასაფლაოდან), უიარაღო (კ. თათარიშვილი) და სიმონ ხუნდაძე (ვერის ძველი სასაფლაოდან) და სხვ.

ჩამოთვლილ მოღვაწეთა გარდა დიდუბის პანთეონში განისვენებენ: გიორგი ქართველიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მდიდრული გამოცემის განმახორციელებელი (იგი თვით ეკლესიაში მარხია, საკურთხევლის წინ), არტურ ლისიტი — გერმანელი მწერალი, გერმანულად და პოლონურად მთარგმნელი ქართველ მწერალთა შემოქმედებისა, სტეფანე ჭრელაშვილი — პუბლიცისტი და კრიტიკოსი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და ნიკო გოცირიძე — ქართული სცენის არტისტები; ნიკო ლორთქიფანიძე—ქართული პროზის დიდოსტატი, დიმიტრი არაყიშვილი — კომპოზიტორი, მოსე თოიძე — მხატვარი, უშანგი ჩხეიძე, — ქართული თეატრის ჩაუქრობელი ელვარება; ნატა ვაჩნაძე — ქართული კინემატოგრაფიის მშვენება; გიორგი ნიკოლაძე და ანდრია რაზმაძე, პეტრე უმიკაშვილი, გიორგი ლასხიშვილი, არჩილ ჯორჯაძე და სხვანი.

დიდუბის პანთეონი ქართული კულტურის ძეგლია.

ს. ხუციშვილი.

ახალი ამბავი

ღღეს ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში

დუშეთი

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ა. თომაძე

წარსულის მემატიანე

პრსეპობის 22 წელს ითვლის დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომლის ფონდებში 8 ათასამდე ექსპონატია თავმოყრილი, ხოლო გამოფენილია 2 ათასზე მეტი საინტერესო ექსპონატი. მუზეუმს აქვს უნიკალური ნივთები, როგორიც არის ბრინჯაოს ხანის ჩაბარეულისა და ფასანაურის განძები, ენინგიის ძველი ნაქალაქარის ვერცხლის მონეტები. მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს საქსოვი დაზგა, რომელიც ეკუთვნოდა დუშეთის მაზრის გლეხთა რევოლუციური აჯანყების მონაწილეს პეღო შუშაპაშვილს, დაზგისათვის საჭირო ძაფთან ერთად რევოლუციონერებს თბილისიდან მოუქონდათ იარაღი.

ახალი სამსართულიანი შენობა ბარისახოში

ხევსურეთის სოფელ ბარისახოში დამთავრდა საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა საძინებელი კორპუსის მშენებლობა, შენობა სამსართულიანია და ორას ბავშვს დაიტევს. საძინებელ კორპუსს აქვს ცენტრალური გათბობა და წყალსადენი, ავრეთვე კეთილმოწყობილი სათავსები.

მომავალი ზღვის ფსკერზე

ენინგალეზეს მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით რაიონში მოვლენებულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი რ. რამიშვილი ხელმძღვანელობს. ექსპედიციის მიზანია მოახდინოს იმ ტერიტორიის არქეოლოგიური დაზვერვა, რომელიც მომავალი ზღვის ქვეშ მოჰყვება ანდა ახალი მშენებლობებით და გზებით დაიფარება.

გაზალეთის ციხეერ ტბასთან

გასხლოთ დიდი ილიას შესანიშნავი ლექსი ბაზალეთის ტბაზე? იგი მდებარეობს დედაქალაქიდან 56 კილომეტრზე, ზღვის დონიდან 880 მეტრის სიმაღლეზე — ბუნებრივად შემკულ ადგილას. ბაზალეთის ტბა მშრომელთა დასვენების შესანიშნავი კერაა, სადაც კვირა-უქმე დღეებში მრავალი ექსკურსანტი და დამსვენებელი იყრის თავს. შარშან აქ გაიხსნა ტურისტული ბაზა, სადაც ერთდროულად ასობით ტურისტი ისვენებს.

სურათზე: დუშეთი. ცენტრალური მოედანი.

ფოტო ი. წიკლაურისა.

ჟურნალისტ-ალეგორისტ ქამბეგი

დაბრუნებული ბავშვობა

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, რომელსაც ხელმძღვანელობს სოციალისტური შრომის მგრი აკადემიკოსი ბ. ვ. პეტროვსკი, 12 წლის ოლია ვოლგოგრადელმა ექიმებმა გაგზავნეს. ბუნებას ვოგონს ორგანიზმში შეეცვალა ვულიდან მიმდინარე მაგისტრალური სისხლძარღვების მდებარეობა, რის შედეგად მკვეთრად დარღვეულიყო სისხლის მიმოქცევის მთელი ციკლი. ბავშვს აწუხებდა მძიმე სენი — თანდაყოლილი გულის მანკი, აორტისა და ფილტვის არტერიის ტრანსპოზიცია. სისხლის მიმოქცევის დარღვევამ მკვეთრი გავლენა მოახდინა ჟანგბადით სისხლის კვებაზე. ფაქტიურად ბავშვის არტერიულ ძარღვებში გადიოდა ვენური სისხლი, მასში ჟანგბადი სამოც პროცენტს თუ აღწევდა, როცა ნორმით ასამდე უნდა ყოფილიყო. ამიტომ ოლიას ქოშინი აწუხებდა, მის სახეს ნაცრისფერი ჰქონდა. დაბადებიდანვე გოგონას სულ მუდამ მედიკები ეხმარებოდნენ. ბევრ დროს ატარებდა საავადმყოფოებში.

გულის ქირურგიის განყოფილებაში გულდასმით გამოკვლევის შემდეგ გოგონას გაუკეთეს რადიკალური ოპერაცია. ოპერაცია გააკეთეს განყოფილების გამგის პროფესორმა ბ. ა. კონსტანტინოვმა და მისმა თანაშემწეებმა — უფროსმა მეცნიერმა თანამშრომლებმა ვ. ს. რიკინმა და ლ. ი. ჩერეპენინმა.

— ჩვენ მიგვიჩნია, — თქვა საკდესის კორესპონდენტ ზ. ხრომოვასთან საუბარში პროფესორმა ბ. კონსტანტინოვმა, — რომ ოლიას ბედმა ორჯერ გაუღიმა, ჯერ ერთი, ასეთი მძიმე მანკით ბავშვები, როგორც წესი, დიდხანს ვერ ცოცხლობენ. ადრეულ ასაკში კი ქირურგებს საშუალება არა აქვთ გააკეთონ რადიკალური ოპერაცია ხელოვნური სისხლის მიმოქცევით. ამიტომ დღემდე მკურნალობას პალიატიური ხასიათი ჰქონდა. მას მხოლოდ დროებით მოჰქონდა შვება ბავშვისათვის.

მეორე, რთული ოპერაცია, რომელიც ოლიას გაუკეთეს, შეიცავს პრობლემის ახალ გადაწყვეტას. საქმე ის არის, რომ წინათ ქირურგები ამგვარ შემთხვევებში ფილტვის არტერიას გადაწერგავდნენ ხელმე აორტის შესართავში. მაგრამ ამ დროს მარცხენა პარკუჭი, როგორც წესი, ვერ უძლებდა ახალ დატვირთვას და მაღალ წნევას, რომლითაც სისხლს იღებს.

ჩვენ ოპერაციის დროს, ის კი მიმდინარეობდა ხელოვნური სისხლის მიმოქცევის პირობებში, გავაკეთეთ მარჯვენა წინაგულა და აღმოვაჩინეთ დეფექტი წინაგულს შორის ძგიდეში. სწორედ ამ მონტაჟმა ქირურგებმა მიიღეს ორიგინალური გადაწყვეტილება — შეეცვალათ არა სისხლძარღვები, არამედ გულისაკენ სისხლის მიმსვლელი გზები. მარჯვენა პარკუჭში, რომლიდანაც ამ მანკის დროს აორტა გამოდის, მისცეა იწყო სუფთა არტერიულმა სისხლმა, მარცხენაში კი ვენურმა სისხლმა. ძგიდეების ნაშთები ისე იყო გაკვეთილი, რომ შეიქმნა ერთი საერთო კამერა, რომლის შიგნით ჩაეკერეს ნაუერი ინვალიდეთ გულის პირნაგიდან.

ამრიგად, სისხლის მიმოქცევა მთლიანად გამოსწორდა. უკვე საოპერაციო მაგიდაზე სისხლში ჟანგბადი 98 პროცენტამდე გაიზარდა.

ეს ორიგინალური და რთული ოპერაცია ქირურგებმა გააკეთეს იმ უდიდესი გამოცდილების მეოხებით, რომელიც ინსტიტუტის სპეციალისტებმა შეიძინეს გულსა და სისხლძარღვებზე ხელოვნური სისხლის მიმოქცევის პირობებში ოპერაციათა გაკეთების დროს. მათმა რიცხვმა უკვე გადააჭარბა ათასს.

ოპერაციის წარმატებას ხელი შეუწყო სპეციალისტთა — ქირურგთა, ანესთეზიოლოგთა და პერფუზიოლოგთა ანსამბლის ოსტატობამ და ზუსტმა საქმიანობამ. კერძოდ, ოლიას ოპერაციაში მონაწილეობდა ანესთეზიოლოგთა ბრიგადა პროფესორ ა. ა. ბუნიატიანის მეთაურობით და პერფუზიოლოგთა ბრიგადა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ვ. პ. ოსიპოვის მეთაურობით.

ოპერაციის შემდგომი პერიოდი კარგად მიმდინარეობდა. თანდათან ოლიას ძალღონე შეემატა და გამხიარულდა, სახე გაუვარდისფერდა.

მოსკოვი.

საბჭოთა ექიმი დაეხმარა

მურმანსკი, 22 სექტემბერი. (საკდესის კორ. ვ. ზასუხინი). რადიოგრამაში, რომელიც ჩრდილოეთის თევზსაყინავი ფლოტის სამმართველომ სატრანსპორტო რეფრიჟერატორ „ირკუტსკიდან“ მიიღო, იტყობინებიან, რომ საბჭოთა ექიმმა გადაარჩინა გერმანელი მეზღვაური.

ეს მოხდა ბარენცის ზღვაში, სადაც რეწვას ეწევა სხვადასხვა ქვეყნის გემების ჯგუფი. „ირკუტსკი“ რადიოთი გამოიძახეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თევზსაჭერ ტრალერ „ნორძეედან“ და სასწრაფო სამედიცინო დახმარება სთხოვეს მესამე მეტურმანის ვოლფგანგ კირსტაინისათვის, რომელიც მძიმე მდგომარეობაში იყო.

გერმანელ მეზღვაურს გემის ექიმმა ლ. ა. ბორუნოვმა წარმატებით გაუკეთა ძალზე რთული ოპერაცია პირის ღრუში. გერმანული გემის კაპიტანმა გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ექიმსა და ეკიპაჟს დახმარებისათვის.

ვ. გ. მამათელაშვილი—

ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს ზოოტექნიკურ-საველტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა **ვლადიმერ გიორგის-ძე მამათელაშვილმა** სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერევნის ზოოტექნიკურ-საველტერინარო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„მასალები კამეჩების ბრუცელოზის პათოლოგიის შესწავლისათვის“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ვ. გ. მამათელაშვილისათვის ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ტელევიზია

24 სექტემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „პოეტი სტუდიაში“ (განმეორებით), 11.45 — ბულგარული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ეშმაკი სამხრეთით“ მე-2 სერია (ქართულ ენაზე), 13.30 — „მათთვის, ვინც ახლა ისვენებს“, 17.00 — გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ნიკო მუსხელიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ტრანსლაცია ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზიდან. შესვენების დროს — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კინონარკვევი, 21.40 — „ხუთწლედი მოქმედებაში“, 22.05 — მხატვრული ფილმი „ქეიმ აბსტის ეკსპერიმენტი“, 23.30 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (ჩანაწერი.).

მეორე პროგრამით

18.15 — სკოლების დასახმარებლად: გადაცემა „თქვენი სახელმძღვანელოს ავტორი“, 19.45 — სკოლების დასახმარებლად: გადაცემა „რაბინდრანატ თაგორი— მხატვარი“, 19.15 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში, 20.20 — კინოპროგრამა, 21.20 — კონცერტი, 22.10 — საქართველოს ფირადი ტელევიზია. „კინოდარბაზი“. მხატვრული ფილმი — „მე ფრანცისკ სკორინი“.

25 სექტემბერი

პირველი პროგრამით

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.10 — ფილმი ბალეტი „იკაროსი“, 11.45 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — სატელევიზიო ფილმი „წითელი მთების მფლობელი“, 13.00 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 14.40 — სატელევიზიო დადგმა „ბალადა სირანოზე“, 15.50 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ჩვენი არტური“, 16.40 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — კინოპროგრამა, 18.10 — ბავშვებისათვის „რატომ, საიდან, რისთვის?!“, 18.35 — საქართველოს ფირადი ტელევიზია დოკუმენტური ფილმი „გამოუცხადებელი ომი“ (ქართულ ენაზე), 19.35 — გადაცემა ციკლიდან „ხელოვნების საგანძურიდან“, 20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — საქართველოს ფირადი ტელევიზია — „მგზავრობის მუსიკალური ავტოგრაფები“, 21.20 — ახალგაზრდობისათვის „სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.30 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ალბატროსის“ უკანასკნელი რეისი“ IV სერია (პრემიერა).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

მეორე პროგრამით

18.15 — სკოლების დასახმარებლად — ქართული ლიტერატურა — საავადმყოფოში კლასგარეშე კითხვის გაკვეთილი, 19.15 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა — სწავლების ტექნიკური საშუალებები ინგლისურ ენაში, 20.15 — სტუდენტთა დასახმარებლად ლექცია პოლიტეკონომიაში, 21.20 — სატელევიზიო ფილმი „შემოდგომის ნოველა“, 22.10 — მხატვრული ფილმი „დიდოსტატის მარჯვენა“ (I სერია).

რედაქტორი
დ. მგელაძეშვილი.

ქომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სახწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99.55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის— 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 04867

საქ.